„გვხსოვდეს ვინცა გორიცხა ხმრ!“

# გვარი და ფრადიცია

5 (32)

საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გაზეთი
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს და საქართველოს

მაისი 2016 წ.

პროექტი

# სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წესდება

## პრეამბულა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის თაოსნობით წამოწყებულ მოძრაობას, გვარისა და გვარიშვილობის წამოჩინებას, ფართო გამოხმაურება მოჰყვა მთელ საქართველოში. უკვე დაფუძნებულია 700-მდე საგვარეულო კავშირი და ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება.

ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს საგვარეულო კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ დაუღალავი შრომით.

საქართველოს გამთლიანების, ეროვნულობის განმტკიცებისა და გაღრმავების, ქართული ტრადიციების აღდგენის, პატრიოტიზმის გამოღვიძების, სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების წესის დამკვიდრების საფუძველს სწორედ გვარის სიმტკიცე და ერთიანობა წარმოადგენს. მძიმე მდგომარეობაა მცირე რიცხოვანი და გადაშენების პირას მისულ გვარებში. იკარგება თემები, კომლები, გვარები. იცლება სოფლები, განსაკუთრებით კი მთიანეთი. ყოველი ქართველის ვალია ყურად იღოს ეს მდგომარეობა და აქტიურად ჩაებას ქვეყნის გადარჩენის საქმეში.

საგვარეულო კავშირების საქმიანობის კორდინაციისათვის კავშირმა ,,გვარი და გვარიშვილობა“ გადაწყვიტა შექმნილიყო ერთიანი ორგანიზაცია დარბაზის სახით, რომელშიდაც გაერთიანებული იქნებოდნენ გვარების წინამძღოლები.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2011 წლის 3 ივლისს გვარის წინამძღოლების შეხვედრას საქართველოს კათოლოკოს–პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან. სწორედ ამ შეხვედრაზე დაფუძნდა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი. დარბაზის წინამძღოლია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

დარბაზის შექმნა დადებითი მოვლენა იყო საგვარეულო მოძრაობაში. გვარის წინამძღოლებმა გაიცნეს ერთმანეთი, შეკავშირდნენ, დასახეს ერთობლივი ღონისძიებები, გაუზიარეს ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება.

სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზი მთლიანად ეფუძნება და სამოქმედო პროგრამად ღებულობს საქართველოს საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობა“ დეკლარაციას.

განვლილმა პერიოდმა გამოაჩინა მუშაობაში ზოგიერთი ნაკლი, საჭირო გახდა საკითხებისადმი ახლებური მიდგომა, გასათვალისწინებელი შეიქმნა საგვარეულო კავშირებში მუშაობისა და შექმნილი საერთო მდგომარეობის ვითარება.

საჭირო გახდა დარბაზის საბჭოსა და წევრების მუშაობის დეტალური ფუნქციების განსაზღვრა.

ამიტომ დადგა საკითხი წესდების ახალი ვარიანტის შემუშავებისა.

წინამდებარე წესდებას საფუძვლად უდევს სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის მიერ აქტივის სხდომაზე 2012 წლის 4 მარტს მიღებული და დარბაზის საბჭოს მიერ 2012 წლის 14 ნოემბერს (ოქმი #4) კორექტირებული დებულება.

## ზოგადი დებულება

სრულიად საქართველოს გვარების წინამძროლთა დარბაზი, შემდეგ ტექსტში ,,დარბაზი“ არის საქართველოს გვარების საგვარეულოთა კავშირების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც დარბაზში წარმოდგენილნი არიან წინამძღოლების (თავმჯდომარეების) სახით.

დარბაზი არის არარეგისტრირებული კავშირი და მისი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედებს წინამდებარე წესდებით და იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

დარბაზის დაფუძნებას საფუძვლად უდევს გვარების წინამძღოლთა ურთიერთშეთანხმებული პრინციპები.

დარბაზი პასუხს არ აგებს სახელმწიფო ვალდებულებებზე და სახელმწიფო პასუხს არ აგებს დარბაზის ვალდებულებებზე.

დარბაზის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი.

## საქმიანობის მიზნები და ამოცანები

2.1 დარბაზის საქმიანობის მიზნებია:

– გვარიშვილების დაახლოება, კონსოლიდაცია და ურთიერთთანადგომა;

– მოსახლეობაში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივება და მასების მობილიზება დედა ეკლესიის გარშემო;

– მართლმადიდებლობის გაღრმავება და ხალხში რწმენის დანერგვა;

– ხელშეწყობა გვარების ისტორიის და მათი განსახლების არეალის შესწავლისათვის;

– გვარების ადგილის დედის და სალოცავების მოძიება და მათზე ზრუნვა;

– ქართული ტრადიციების აღდგენა;

– საქველმოქმედო საქმიანობა;

– წიგნების, ბროშურების და პერიოდული პრესის გამოცემა;

– სახელოვანი პიროვნებების წარმოჩინება და პატივის მიგება.

## დარბაზის წევრობა

დარბაზის წევრი არის რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული საგვარეულო კავშირები, საგვარეულო კავშირების რეგიონალური გაერთიანებები და დამოუკიდებელი აქტიური ფიზიკური პირები.

დარბაზის წევრებად კავშირები წარმოდგენილნი არიან გვარის წინამძღოლების სახით.

საგვარეულო კავშირები და ფიზიკური პირები წერილობითი განაცხადით მიმართავენ დარბაზის საბჭოს, განაცხადს უნდა ახლდეს რეგისტრირებული კავშირებისათვის ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან, არარეგისტრირებული კავშირებისათვის კრების ოქმი თავმჯდომარის არჩევის შესახებ, ინფორმაცია კავშირის დაფუძნების და დალოცვის თარიღების შესახებ და წინამძღოლთა პირადი ანკეტა-ავტობიოგრაფია.

საბჭო თავისი გადაწყვეტილებით ამტკიცებს წევრების მიღებას.

დარბაზის წევრის ვალდებულებები:

– დაიცვას წესდებით გათვალისწინებული

მოთხოვნები;

– დაიცვას დისციპლინა და კონფიდენციალობა;

– დაესწროს დარბაზის შეკრებას და საჭიროების შემთხვევაში საბჭოს

სხდომებს;

– იზრუნოს საგვარეულო მოძრაობის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის;

– გადაიხადოს საწევრო ანარიცხები და სურვილის მიხედვით გასწიოს შემოწირულობები კონკრეტული ღონისძიებების ჩატარებისათვის;

– მიიღოს აქტიური მონაწილეობა დარბაზის საქმიანობაში.

3.6 დარბაზის წევრი უფლებამოსილია:

– აირჩიოს და არჩეულ იქნას დარბაზის ხელმძღვანელ ორგანოებში;

– მიიღოს ინფორმაცია დარბაზისა და საბჭოს საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

– თავისუფლად გავიდეს დარბაზის წევრობიდან.

3.7 დარბაზის წევრის მიერ კრებაზე სამჯერ ზედუზედ დაუსწრებლობისა და საწევროს სამი თვის გადაუხდელობის გამო შესაძლებელია დადგეს მისი დარბაზიდან გარიცხვის საკითხი.

3.8 დარბაზის წევრად შეიძლება მიღებულ იქნენ დამოუკიდებელი ფიზიკური პირები: ყოფილი წინამძღოლები, საპატიო წინამძროლები ან გვარის აქტიური წევრები, რომლებიც აღიარებენ დარბაზის წესდებას და მიმართავენ საბჭოს განცხადებით. ისინი დარბაზის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმით.

დარბაზის საპატიო წევრებიდან შესაძლებელია დაკომპლექტდეს მრჩეველთა საბჭო.

## დარბაზის უფლებები

4.1 დარბაზი უფლებამოსილია:

– დადგენილი წესით საქმიანი კონტაქტების დამყარება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არაწევრ საგვარეულო კავშირებთან, თემებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობა მიმართულია ეროვნულ-პატრიოტული და მართლმადიდებლური სარწმუნოების გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის;

– თავისი საქმიანობის განსახირციელებლად იურიდიული საწარმოების, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი დაწესებულებების შექმნა;

– საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარება;

– საწესდებო პროგრამის განსახორციელებლად შემოწირულობების და დახმარების მიღება, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში.

## ხელმძღვანელი ორგანოები

5.1 დარბაზის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა გვარების წინამძღოლ წევრთა საერთო კრება.

5.2 საერთო კრება მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

5.3 რიგგარეშე კრება შესაძლებელია მოწვეული იქნეს დარბაზის წევრთა 20 პროცენტის მოთხოვნით, დარბაზის საბჭოს გადაწყვეტილებით, დარბაზის საბჭოს თავმჯდომარის ინციატივით.

5.4 საერთო კრების მომზადებას ახორციელებს დარბაზის საბჭო.

5.5 საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება დარბაზის წევრთა ნახევარზე მეტი.

5.6 კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით.

5.7 საერთო კრებას ხელმძღვანელობს კრებაზე არჩეული თავმჯდომარე.

5.8 საერთო კრების გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი.

5.9 კრებაზე თითოეულ დარბაზის წევრ წინამძღოლს აქვს ერთი ხმა.

5.10 საგვარეულო კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით წინამძღოლის არყოფნის შემთხვევაში კრებაში მონაწილეობს გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

5.11 საერთო კრების კომპეტენცია:

– საგვარეულო მოძრაობის ძირითადი მიმართულებების, საქმიანობის პრინციპების განსაზღვრა;

– გადაწყვეტილებების მიღება საგვარეულო მოძრაობაში შექმნილი ვითარების სტაბილიზაციისათვის და გაფართოებისათვის;

– გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს არჩევა და გამოწვევა;

– დარბაზის საბჭოს საპატიო წევრების არჩევა მრჩეველთა საბჭოში;

– საგვარეულო კავშირებისათვის სარეკომენდაციო მითითებების მიცემა;

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებების და მოწოდებების გავრცობა და პოპულარიზაცია;

– გვარების წინამძღოლთა დარბაზის წესდების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა;

– სექციების და კომისიების შექმნა;

– საწევრო ანარიცხების ოდენობის დამტკიცება.

5.12 ყოველი თვის პირველ ორშაბათს იკრიბება დარბაზის წევრთა აქტივი მიმდინარე საკითხების განსახილველად და წინამძღოლთა ანგარიშის მოსასმენად.

## გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭო

გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭო აირჩევა დარბაზის წევრ წინამძღოლთა საერთო კრების მიერ 21 კაცის შემადგენლობით 5 წლის ვადით.

საბჭოს ყავს საბჭოს წევრებიდან არჩეული თავმჯდომარე, ორი მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი.

საბჭოს კომპეტენციაა:

– თავმჯდომარის, მოადგილეების და პასუხისმგებელი მდივნის არჩევა;

– სექციების და კომისიების შექმნა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნა;

– დარბაზის წევრების მიღება და გარიცხვა;

– დარბაზის საერთო კრების მოწვევა და ჩატარების ორგანიზება;

– დარბაზის წევრის პერსონალური საკითხის განხილვა;

– ეროვნულ-პატრიოტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზება.

საბჭოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საბჭოს სხდომის რიგგარეშე ჩატარება.

საბჭოს სხდომები არის ღია და მასზედ დასწრება შეუძლია გვარის წინამძღოლებს და საგვარეულო მოძრაობის აქტივისტებს.

საბჭო ისმენს საგვარეულო კავშირების ანგარიშებს, მათ მიერ გვარში გაწეული მუშაობის შესახებ.

საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი.

გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

## ფინანსები და ქონება

ფინანსების აკუმულაციისათვის დარბაზი ქმნის იურიდიულ პირს ,,სრულიად საქართველოს გვარების წინამძროლთა დარბაზის ფონდს“.

ფინდის დამფუძნებლები არიან საბჭოს მიერ შერჩეული გვარების წინამძღოლები.

ფონდის დირექტორის დანიშვნა და ხანგრძლივობა განსაზღვრულია ფონდის წესდებით.

ფონდის შემოსავალი იქმნება საწევრო ანარიცხებიდან, შემოწირულობებიდან და დარბაზის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობის იურიდიული პირებიდან, საგამომცემლო საქმიანობიდან.

ფონდის ხელმძღვანელობა სახსრების ხარჯვას აწარმოებს დარბაზის საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ფონდის შემოსავლები არის დარბაზის საკუთრება და გამოიყენება მხოლოდ დარბაზის საჭიროებისამებრს. იგი წევრებზე და ფონდის დამფუძნებლებზე არ ნაწილდება.

დარბაზს შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ქონება.

## დარბაზის საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია

დარბაზის საქმიანობის შეწყვეტა ხდება დარბაზის წევრთა 2/3 –ის გადაწყვეტილებით.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებზე.

დარბაზის ქონებას, ფულადი სახსრების ჩათვლით , ვალების დაფარვის შემდეგ დარბაზის საბჭოს გადაწყვეტილებით გადაეცემა ბავშვთა სახლებსა და საქველმოქმედო ორგა-

# საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის" დეკლარაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ საგვარეულო მოძრაობამ ახალი შინაარსი შეიძინა და ფართო ხასიათი მიიღო. ცალკეული გვარების კავშირების შექმნის ხანგრძლივი პროცესი სრულიად საქართველოს საგვარეულოთა ერთიანი კავშირის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა.

საქართველოში უკვე არსებობს და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეწევა ოთხასამდე საგვარეულო კავშირი, რის გამოც დღის წესრიგში დადგა მათი მაკოორდინერებული ცენტრის ჩამოყალიბება. ამ მიზნით 2003 წლის 29 დეკემბერს საკანონმდებლო წესით დაფუძნდა საქართველოს საგვარეულოთა კაშვირი „გვარი და გვარიშვილობა".

ამრიგად, თუ მანამდე გვარი, მეტწილად, არსებობდა როგორც გვარი „თავისთვის", საგვარეულოთა კავშირის დაფუძნების და ამოქმედების შემდეგ იგი უნდა იქცეს აქტიურ საქვეყნო–საზოგადოებრივ ძალად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განხორციელდეს გვარიშვილთა პირადი ინტერესების შერწყმა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებთან.

თითოეული საგვარეულო კავშირი, რომელიც დამოუკიდებელი იურიდიული პირია, საკუთარი წესდების თანახმად, იღწვის გვარიშვილთა კეთილდღეობისათვის, აზუსტებს გვარის გავრცელების გეოგრაფიას; კავშირში იზიდავს ყველა გვარიშვილს თვით უცხოეთიდან და ისტორიული საქართველოს ჯერჯერობით დაკარგული ტერიტორიებიდანაც;

ავლენს და შესაბამის პატივს მიაგებს გვარის გამოჩენილ, მათ შორის მივიწყებულ პიროვნებებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეწევა გვარის პოპულარიზაციას, ადგენს და ანახლებს გვარის წარმოშობის ფუძეს, ადგილის დედას და სალოცავებს, აღადგენს საგვარეულო დღეობებს და რიტუალებს;

სწავლობს გვარის დემოგრაფიულ მდგომარეობას და ცივილური მეთოდებით იღწვის გვარის ზრდა–გამრავლებისათვის, სულიერ–ზნეობრივი, დემოგრაფიული და ეკონომიკური აღმავლობისათვის.

საგვარეულოთა კავშირი – „გვარი და გვარიშვილობა" ცალკეულ საგვარეულო კავშირს ამ მიზნების მიღწევაში ყოველმხრივ ხელს უწყობს.

მთელ ძალისხმევას ახმარს მრავალათასწლოვანი ქართული ცხოვრების წესის და ეროვნული ტრადიციების აღდგენასა და დაცვა–აღორძინებას, საგვარეულო გაერთიანებათა წარმოქმნის პროცესის გაგრძელებას, ერის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას, სამშობლოს გამთლიანებას და საარსებო პირობების გაუმჯობესებას;

თითოეული გვარი კეთილშობილია, ყოველმა გვარიშვილმა უნდა იცოდეს „ვისი გორისაა", ვინ არის და საიდან მოდის.

მიზნად ისახავს საგვარეულო საზოგადოების საქმიანობაში ყველა გვარის ჩაბმა განურჩევლად ეროვნებისა: ვინც საქართველოში ცხოვრობს, ვინც თავის სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევს, ვისაც ქართველ ერთან მშვიდობიანი თანაცხოვრება სურს და სახელმწიფო ენად ქართულს აღიარებს;

საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად, თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს ქართული ეროვნული სალოცავებისა და საგვარეულო დღეობების აღდგენა–დაცვა, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კვლავ ტრადიციად დამკვიდრდეს მამა–პაპათა ნასახლარების და ნასოფლარებზე საზედაშე ღვინის მიტანა, წინაპართა საფლავებზე სანთლების ანთება, ლოცვა;

სარწმუნოებრივი სიწმინდით უნდა წარიმართოს, წელიწადის დროთა მიხედვით, საქმის დღეთა და უქმეთა მონაცვლეობა;

მარხვა – ხსნილის შეთანაწყობა;

ჩამოყალიბებული, განსაზღვრული რელიგიური დღესასწაულების სრულყოფილი აღნიშვნა;

ეროვნული ღირსებების და ზომიერების დაცვის ფარგლებში უნდა მოწესრიგდეს საუფლო–სახალხო დღესასწაულები და ყოფითი წეს–ჩვეულებანი: ნიშნობა, ქორწილი, ძეობა, ნათლობა, დაკრძალვა–გლოვა, საყოფაცხოვრებო და რელიგიური სუფრები, ტრაპეზები და სხვა.

აგრეთვე: სტუმარმასპინძლობა და სტუმართმოყვარეობა, უფროს – უმცროსობის წმინდა ადათი, მამაპაპური ზნეობა და ზრდილობა, ქალისადმი მოწიწება და პატივისცემა, სისხლისმიერი და ხელოვნური სანეთესაო სისტემები (მოყვრობა, ნათელმირონობა, ძმადნაფიცობა, დაძმობილება, დადობილება, შვილად აყვანა და ა. შ.).

კოლექტიური გარჯა–საქმიანობა და ურთიერთ დახმარება, პატიოსანი შრომის ღირსება და ფასი, სანათესაო და სამეზობლო ვალდებულებანი, შთამომავლობითი–ნათესაური უფლება–მოვალეობანი, ოჯახის, გვარის და სოფლის ურთიერთმიმართება;

მამაპაპურ საცხოვრისში ხელი უნდა შეუწყოს გვართა ტრადიციულ საქმიანობას, საგვარეულო ხელობა – სპეციალობის, წინაპირთა ცოდნა–გამოცდილების შენახვას და შთამომავლობით გადაცემას, მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას, ხალხურ გამოყენებით ხელოვნებას, ხელოსნობას, შინარეწვას და ა. შ.

ქართული, ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე უნდა ამაღლდეს დედაკაცის (მანდილოსნის) როლი, მამაკაცთა მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და ღირსების გრძნობა;

თანამედროვე ვითარების შესაბამისად გააზრებული იქნეს ოჯახის შექმნის ძველქართული წეს–ჩვეულებანი, სისხლით ნათესაობის სიწმინდის დაცვა;

ბავშვის აღზრდაში დაკანონდეს დედის შეუცვლელი როლი, აღდგეს ტრადიციული მრავალთაობიანი ოჯახები, ჯანსაღი საოჯახო ურთიერთობანი.

საგვარეულოთა კავშირმა – „გვარმა და გვარიშვილობამ" უნდა იღვაწოს ქართული ცხოვრების წესის აღდგენა–შენარჩუნებისათვის.

*საქართველოს საგვარეულოთა კავშირის*
*გამგეობა და სამეცნიერო საბჭო*
*გაზეთი „გვარიშვილობა", N1, დეკემბერი,*
*2010 წ.*

# საინფორმაციო ქრონიკა

2016 წლის 4 მაისს გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის აქტივის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარატ კიტოვანი, მდივანი ხათუნა სხირტლაძე. დღის წესრიგი: ისტორიული სამცხე-ჯავახეთის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის შექმნისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა სუდაძეთა გვარის წინამძღოლმა ზაზა სუდაძემ.

5 მაისს მცხეთაში შედგა საგვარეულო მოძრაობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის ხელმძღვანელებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გოჩა ზეიკიძე, მოადგილეები: კობა არაბული და დავით ჯალაბაძე.

საგვარეულო მოძრაობიდან ლევან ფრუიძე, ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, საველ მარსაგიშვილი, პოეტი კობა არაბული, ელგუჯა ბურდული, კენკიშვილების გვარების წარმომადგენლები.

განხილული იქნა მთიანეთის მხარეში სოფლების აღდგენის, მისასვლელი გზების მოწყობის საკითხები. გამახვილდა ყურადღება ყაზბეგის რაიონში 500კვ. ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის უარყოფით გავლენაზე ამ მხარისათვის.

გადაწყდა 1 ივნისს ჩატარდეს მცხეთა-მთიანეთის გვარების გაფართოებული შეკრება.

# იური სიხარულიძე – 90



დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა ცნობილ ისტორიკოსს, პროფესორ იური სიხარულიძეს.

დიდია მისი დამსახურება ქართულ საისტორიო მწერლობაში. იგი არის საქართველოს სატოპონიმო ძიების პიონერი. ეს შენიშნა და ღირსეულად დააფასა დიდმა ქართველმა მეცნიერმა და ელინისტმა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა (1895-1985).

იური სუხარულიძემ სრულიად ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოამჟღავნა ნიჭი ისტორიოგრაფიის კვლევის. პროფესორმა სარგის კაკაბაძემ რეფერენტის თემად მისცა ,,სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში", რომელმაც პროფესორის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გავიდა წლები და იური სიხარულიძემ წარმატებით დაიცვა ჯერ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო შემდეგ დოქტორის სამეცნიერო ხარისხები.

მან მრავალი წელი მიუძღვნა აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევას.

მისი დიდი მიღწევა იყო ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტა, როგორიც არის ერთ-ერთი უძველესი ქართული სამეფოს (,,არიან-ქართლის") ადგილმდებარეობის მიკვლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

მან შექმნა სატოპონინო ორტომეული (რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი).

იური სიხარულიძის ძირითადი სპეციალობა საისტორიო გეოგრაფიაა და ბუნებრივია მისი რუქათწყაროსთან ინტენსიური ურთიერთობა. ამ რუქებმაც ჰპოვეს აღიარება და საისტორიო გეოგრაფიის სხვა მკვლევარებთან ერთად, ისიც გახდა დიდი ივანე ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მან ქართველი მწერლის ტბელ აბუსერიძის (XII-XIIIსს) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. აღსანიშნავია, რომ თითქმის მივიწყებული ტბელ აბუსერიძე 2001 წელს უწმინდესმა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

იური სიხარულიძე დიდ პატივს მიაგებდა ვაჟა-ფშაველას და მისი პრემიის ლაურიატიც გახდა.

ყველა ქართველ მწერალს სხვადასხვა დროს იურის ნაცადი კალამი შეხებია, მათ შორის ბრძანდებიან ჩვენი მწერლობის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორიც შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, იაკობ შემოქმედელი, ვახტანგ მეექვსე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, გალაქტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები.

ვულოცავთ ბატონ იურის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

*საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა"*

27 მაისს საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების" ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა პროფესორ იური სიხარულიძის დაბადებიდან 90 წლისთავის აღსანიშნავად. აქ შეიკრიბნენ მისი კოლეგები, მოწაფეები, საისტორიო საზოგადოება, მწერლობის და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები.

სტუმრები ჩამოვიდნენ ბათუმიდან და გურიიდან.

სხდომა გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელმა ცისანა ქოჩეჩაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოების თავჯდომარე, აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე, ბათუმიდან ისტორიკოსი – დოქტორანტი ავთანდილ დიასამიძე, პოეტი ეთერ აფაქიძე, არქიქეტორი ნოე სიხარულიძე, მწერალი გურამ ჭავჭანიძე და სხვები.

საღამო მიმდინარეობა ქალთა ანსამბლისა და ვაჟთა მომღერლების გუნდის თანხლებით. აღსანიშნავია, რომ ვაჟთა გუნდთან ერთად იმღერა იური სიხარულიძემაც. ბოლოს სიტყვა წარმოთქვა და მადლობა გადაუხადა საზოგადოებას პროფესორმა იური სიხარულიძემ.

# ბაღდავაძეთა შეკრება

2016 წლის 7 მაისს ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში გაიმართა ბაღდავაძეთა გვარის შეკრება.

ჭყვიში წარმოადგენს ბაღდავაძეთა ერთ-ერთ დედა ბუდეს. აქედან განსახლდნენ შემდეგ სამტრედიასა და ლანჩხუთში.

აქ თავი მოიყარა ბაღდავაძეებმა ვანის სოფლიდან, ბორჯომიდან, სამტრედიიდან, თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან.

ჭყვიშში ბაღდავაძეებმა აღმართეს ნიშა თავიანთი მფარველი საგვარეულო ხატით –მთავარანგელოზ მიქაელის ხატით.

შეკრებას ესწრებოდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ვაჟა ნადირაშვილი.

## უშანგი ბაღდავაძე

ბაღდავაძეთა საგვარეულო კავშირს კიდევ ერთი გვარიშვილი გამოაკლდა.

84 წლის ასაკში გარდაიცვალა უშანგი შალვას-ძე ბაღდავაძე.

სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა" თანაგრძნობას გამოთქვამს და უსამძიმრებს მის ოჯახს და სრულიად საქართველოს ბაღდავაძეთა კავშირს უშანგი ბაღდავაძის გარდაცვალების გამო.

# ფაღავები

საქართველოში ამჟამად (1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, არა გვგონია ეს რიცხვი მნიშვნელოვნად შეცვლილიყოს) 1300-ზე მეტი ფაღავაა [ა. სილაგაძე, ა. თოთაძე. გვარსახელები საქართველოში. თბ. 1997]. ამათგან დაახლოებით 800 აჭარაში სახლობს, დანარჩენები თბილისში, სამეგრელოში, აფხაზეთში, იმერეთში; თითო-ოროლა ოჯახი საქართველოს ყველა რეგიონშია. საგვარეულოს წარმომადგენლები ცხოვრობენ აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ქვეყნებში, თურქეთში, რუსეთსა და უკრაინაში.

ფაღავების წარმოშობის შესახებ ერთადერთი დოკუმენტური წყაროა იოანე ბატონიშვილის `საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების შემოკლებით აღწერა“ [ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. შ, #3729, 116 V]. მასში წერია, რომ `ფაღავა, ფაღრაველი ანუ ფაღავაშვილი იყო ორბელიანთ-გუარი, რომელიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფაღავაშვილებად, წელსა 1271“

ფაღავების წინაპართა გვარი ორბეთის ციხის მფლობელობასთანაა დაკავშირებული [შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979, გვ. 12-24]. ისტორიული წყაროებისა და მკვლევართა შეხედულებების ურთიერთშეჯერება საფუძველს იძლევა გავაიგივოთ ორბელები ასევე ძველ გვართან ბაღვაშებთან – `ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტის ძე“ [გვარის სტრუქტურის მიხედვით ბაღვაში, ბაღუაში ლაზურ-ჭანური წარმოშობის უნდა იყოს]. საგულისხმოა, რომ ფაღავასა და ორბელიანს შორის რაიმე ფონეტიკური მსგავსება არ არსებობს ამავე დროს, ფაღავას სამეგრელოში უპირატესად ხმარებულ ფორმებს ფაღვა – ფაღუას და ლაზურში ნაწილაკმოცილებულ ბაღვაში – ბაღუაშის ერთმანეთს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ეს არსებითად ერთი და იგივე გვარია. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთში გადასვლისას საგვარეულო ციხისა და მამულის – ორბეთის დაკარგვის შემდეგ ორბელებმა ციხის (თუ ქვეყნის) მფლობელობასთან დაკავშირებულ გვარზე უარი თქვეს, ძველი გვარი ბაღვაში აღიდგინეს, ლაზური ში ნაწილაკმოცილებული ბაღვა – ფაღვა გაითავისეს და დღევანდლამდე მოიტანეს.

ფაღავების სამფლობელო ისტორიულ სალიპარტიანოსა და საჭილაოს შორის მდებარეობდა, შესაძლებელია სალიპარტიანოს სამხრეთ ნაწილს წარმოადგენდა. ეს ტერიტორია ამჟამად მარტვილის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. რეზიდენცია – `ფაღაოს სასახლე“ და კარის ეკლესია ბანძაში ჰქონდათ, აქვე იყო `ციხე კეთილნაშენი“. ეკუთვნოდათ აგრეთვე, თარგამულის ციხე-სიმაგრე. მათივე იყო შაურკარის და ვედიდკარის (ბანძის უბნებია) ეკლესიებიც. ამ უკანასკნელთან საგვარეულო სასაფლაო იყო. ტოპონიმიკურ მასალებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ სოფელ ნახუნაოშიც (ბანძის მახლობლად) `ფაღავების სასახლე და ციხე-სიმაგრე ყოფილა“ [გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა.

გოგიტა ფაღავა, პოლიტიკური მოღვაწე, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე

თბ., 1977, გვ. 122]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუქაზე ნაჩვენები ხუთი სამეფო და ფეოდალური

აკაკი ფაღავა, პროფესორი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე.

სასახლედან – გეგუთში, ქუთაისში, ბანძაში, სკანდასა და წესში – ერთი ფაღავებს ეკუთვნოდა [ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. თბ., 1959, გვ. 177-198].

ფაღავებს მამულები სამეგრელოს ფარგლებს გარეთაც ჰქონდათ (ფარცხანაყანებს, ჭაგანში, ბაღდადში, ქორენიშში).

ფაღავები იყვნენ სამეგრელოს სამთავროს მდივანბეგები, ალექსანდრე ფაღავამ თავი ისახელა ომერ-ფაშას სამეგრელოში შემოტევისას. რუსეთის იმპერიამ ოდიშის სამთავრო რომ შემოიერთა, გარკვეული დროის განმავლობაში ყოფილ სამთავროს დროებითი 5 კაციანი კომისია განაგებდა, მათგან ერთი ფაღავა იყო.

ფაღავების ძლიერი განშტოებაა აჭარაში. მათი ძირითადი სამფლობელო ბათუმის შემოგარენი იყო, ცენტრით ორთაბათუმში, ყოროლისთავში. ჰქონდათ საკუთარი ციხე, საგვარეულო სასაფლაო. თურქების ბატონობის დროსაც ფაღავების გვარს ატარებდნენ, თუმცა ამავე დროს შერქმეული გვარსახელებიც იხმარებოდა (ინან-ოღლი, ეფენდ-ოღლი, ხაჯი-ბაირახტარ-ოღლი, ჭეჭელ-ოღლი, მოლ-ოღლი მოლიშვილი, აირანჯ-ოღლი, არჩიოღლი). ყოროლისწყლის ხეობის მკვიდრნი ფაყვაძეებიც ასევე ფაღავებად არიან მიჩნეული (ფაყვაძე-ფაღვა-ფაღავა ფონეტიკური ცვლილების შედეგია). აჭარელი ფაღავები ბეგებად და აღებად მოიხსენიებიან.

დავით ფაღავა, ექიმი. „ჩემო ციცინათელას" მუსიკის ავტორი.

ოჯახური გადმოცემის თანახმად, თურქეთში ფაშას თანამდებობაც ჰქონიათ.

დარია ფაღავა, საზოგადო მოღვაწე, ორატორი.

XIX-XX საუკუნეებში საზოგადოებრივ ასპარეზზე მრავალმა ფაღავამ გამოიჩინა თავი. მათ შორის პირველ რიგში შეიძლება მოვიხსენიოთ შემდეგნი –

აკაკი ფაღავა (1887-1962) – საზოგადო მოღვაწე, 1918 წელს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოში უმაღლესი თეატრალური განათლების მესაძირკვლე, პროფესორი, თეატრმცოდნე;

გიორგი (გოგიტა) ფაღავა (?-1924), საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის დეკლარაციის ხელისმომწერი, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე;

დავით ფაღავა (1882-1962) – „ციცინათელას“ მუსიკის ავტორი;

დარია (მურზაყანის ასული) ფაღავა (1869-1899) – საზოგადო მოღვაწე, ორატორი, მ. ზიჩის ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებში თამარ მეფის პროტოტიპი;

დარია (ხიტუს ასული) ფაღავა (1805-1853), იღუმენია – სამთავროს დედათა მონასტრის დამფუძნებელი, პირველი ოფიციალური წინამძღვარი;

ეთერ ფაღავა (დ. 1932) – ფრანგული ბალეტის ვარსკვლავი;

ვერა ფაღავა (1907-1988) – ცნობილი მხატვარი, მოღვაწეობდა საფრანგეთში;

ირაკლი ფაღავა (1918-1988) – პროფესორი, პედიატრი;

იუსუფ ფაღავა (1912-1982) – მწერალი, ქართველ მწერლებში პირველად მისი თხზულებები ითარგმნა თურქულად;

კონსტანტინე ფაღავა (1919-1994) – პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე;

ლევან ფაღავა (1907-1996) – საფრანგეთში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თავკაცი, ჟურნალ „ჩვენი დროშა„-ს რედაქტორი;

მელქისიდეკ ფაღავა (1854-1929) – ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, იურისტი, ნაფიცი მსაჯული, საზოგადო მოღვაწე და მეცენატი;

სერაპიონ ფაღავა (1908-1976) – პროფესორი, მეტეოროლოგ-სინოპტიკოსი, მოღვაწეობდა რუსეთში.

მუხრან მაჭავარიანის კალამს ერთი მშვენიერი ლექსი ეკუთვნის „წარსული კარგი! ძალიან დიდიც! აუგი ვინ თქვა! მაგრამ ერთს ვიტყვი, ნამდვილად ვიტყვი! გაწი გამოწი, ის რაც ხარ, დღეს ხარ!“. ნამდვილად ასეა.

თანამედროვე ფაღავები აგრძელებენ წინაპართა სახელოვან ტრადიციებს. მათში ვხედავთ მეცნიერებს, ხელოვანებს, ლიტერატორებს, პოლიტიკოსებს, მეზღვაურებს-გემის კაპიტნებს, სხვადასხვა დარგის საჩინო პროფესიონალებს. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს წინსვლა-განვითარებაში, აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ პატრიოტულ ძალისხმევაში.

**ყარამან ფაღავა**
**პროფესორი**
**ფაღავების საგვარეულო**
**კავშირის**
**თავმჯდომარე**

# ხაჩიძეთა ფუძე სოფელში ტაძარი აღდგა

მიმდინარე წლის 8 მაისს, კვირაცხოვლობა დღეს, ხარაგაულის რაიონის სოფელ წაქვაში კვირაცხოვლობის სახელობის ტაძარი გაიხსნა, უფრო სწორად, კომუნისტური რეჟიმის დროს დანგრეული აღდგა.

ტაძრის კურთხევა და საზეიმო წირვა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) შეასრულა. ღვთისმსახურებისას თანამსახური იყო ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე), რომელმაც 2014 წლის 28 ივნისს ამ ტაძრის საძირკველი აკურთხა.

სადღესასწაულო წირვას მრავალი მღვდელმსახური ესწრებოდა, მათ შორის ექვსი ხაჩიძეთა საგვარეულოდან (ეპისკოპოსოს ჩათვლით სულ - 7), კერძოდ: სქემიღუმენი თეოდოსი, ურბნისისა და რუისის ეპარქიის სანებლის წმ. ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი; სქემიღუმენი ილია, სურამისა და ხაშურის ეპარქიის ულუმბოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი; მონაზონი ბასილი, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის ახკერპის წმ.სერაფიმე საროველის მამათა მონასტრის წინამძღვარი; დეკანოზი არჩილი, თბილისის კუკიაზე მდებარე წმ.ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური; მღვდელი გიორგი, სურამისა და ხაშურის ეპარქიის ტეზრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი; სქიმმონაზონი არსენი, სანებელის მამათა მონასტრიდან. აღსანიშნავია, რომ გვარში საქართველოში მოღვაწე კიდევ ორი სასულიერო პირია, რომელთაც ამჯერად საგვარეულო მოძრაობაში მონაწილეობა ვერ შეძლეს.

წაქვის ტაძრის აღდგენაზე მთელი სოფელი ზრუნავდა. ძირითადი დამფინანსებელი ამავე სოფლის მკვიდრი ჯიმშერ ტყემალაძე გახლდათ, თანადამფინანსებელი - ხაჩიძეთა საგვარეულო.

შეიძლება ითქვას, რომ წაქვის სულიერ ცხოვრებაში ახალი ეტაპი სოფელში ხაჩიძეთა საგვარეულო ხატის ჩაბრძანების დღიდან, 2011 წლის 6 აგვისტოდან დაიწყო. ამ დღეს სოფელში თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა არაერთმა მოგვარემ. ამავე გვარის სასულიერო პირებმა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში პარაკლისი გადაიხადეს. საბედნიეროდ, ეს მცირე მოცულობის ხის ტაძარი, რომელიც სოფლის ძველ ნაწილში მდებარეობს, ავბედობის პერიოდში დანგრევას გადაურჩა.

ამის გარდა ერთობლივი ლოცვა შესრულდა წაქველი ხაჩიძეების ცალკე სალოცავში.

წმინდა გიორგის საგვარეულო ხატი წაქვაში რამდენიმე თვით დარჩა

და ამ დროის განმავლობაში იგი სოფლის მკვიდრმა ყველა გვარმა (გრიგალაშვილი, ჩადუნელი, გელაშვილი, ლურსმანაშილი, ტყემალაძე, კურტანიძე, სამხარაძე, ტაბატაძე, ლომიძე) ისტუმრა. რაც მთავარია, ყველაფერი დიდი სიყვარულით გაკეთდა, ღვთისა და ერთურთის სიყვარულით, ერთმანეთის თანადგომით. სწორედ ამ სიყვარულის შედეგად აღდგა დანგრეული ეკლესია! ახლადნაკურთხი ტაძარი ჯერჯერობით სოფლის ერთადერთი მოქმედი და სრულად გამართული სალოცავია. მისი გახსნით თითქოს ახალი დროის ათვლა დაიწყო წაქვის სულიერ ცხოვრებაში.

მთელი საგვარეულოს სახელით მადლობას ვწირავთ ღმერთს ამ კეთილი საქმის ღირსეულად განსრულების ძალის მოცემისთვის და წარმატებას ვუსურვებთ მის ახლადდანიშნულ მღვდელმსახურს, რიკოთის წმ. გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარს, იღუმენ პახუმს (ბუხსიანიძე). ღირსეული მსახურება არ მოშლილიყოს მართლმადიდებლურ ტაძრებში ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ!

ხაჩიძეთა საგვარეულოს
წინამძღოლი
დალი (დარეჯან) ხაჩიძე

## მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

**ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია**

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

**ჩვენი რეკვიზიტები**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

**ჩვენი რეკვიზიტებია:**

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

**სარედაქციო კოლეგია**

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871